განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 26 აგვისტო

დასკვნის წარდგენის თარიღი 5 სექტემბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი 0804
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული: 2013.11.12 გადაწყვეტილების ნომერი - 212

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა სამსონაძე - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ოჩხიკიძე - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა - **„სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)“** აკრედიტებულია 2013 წლის 11 დეკემბერს - სახელწოდებით საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (დრამატული თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა; დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის სამსახიობო)“. საანგარიშო პერიოდში (2013-2018) პროგრამაში შევიდა რამდენიმე ცვლილება: პროგრამას მოაკლდა ორი კონცენტრაცია: „დრამატული თეატრის რეჟისურა“ და „თოჯინების თეატრის რეჟისურა“. პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა“, „გახმოვანების ოსტატობა“, „ქართული კინოს ისტორია“, „აღმოსავლეთის თეატრის ისტორია“. პროგრამის მოდიფიცირების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანების (27.12.2017 წ. ბრძანება N 01-08/94) საფუძველზე შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ასევე ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა. ახალი სასწავლო კურსები პროგრამას დაემატა სწორედ გამოკითხვების საფუძველზე. პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც საშემსრულებლო ხელოვნების პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსები (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, რიტმიკა, სასცენო მოძრაობა და სხვა), ასევე თეორიული კურსები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებაზე.

მოდიფიცირების შედეგად პროგრამაში დაზუსტდა ლექციებისა და პრაქტიკულ-სასემინარო მუშაობისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა; ასევე, დაზუსტდა სწავლების მეთოდები, განახლდა ბხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების კოდების მინიჭების წესი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 14 მარტის (ოქმი N44) გადაწყვეტილების საფუძველზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით აკადემიურმა საბჭომ 2019 წლის 20 მარტის N4-01/62 დადგენილებით დაამტკიცა მოდიფიცირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: **„სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)“.**

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი შემოქმედებითად აქტიური მსახიობის მომზადება, რომელიც შეძლებს მუშაობას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შემოქმედებით კოლექტივში (თეატრში, გადასაღებ მოედანზე კინოში და სატელევიზიო დადგმებში).

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამაში სასწავლო კურსების გადანაწილება ექვემდებარება შინაარსობრივ თანმიმდევრობას და შედგენილია წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შინაარსი და შედეგები ერთმანეთთან თანხვედრაშია.

პროგრამის შემადგენელი კომპონენტები შემდეგი პრინციპითაა დალაგებული:

- სპეციალობის საერთო კურსები - 110 ECTS კრედიტი (მათ შორის საწარმოო პრაქტიკა 2 ECTS კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი 10 ECTS კრედიტი), დრამისა და კინოს/დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო - ძირითადი კურსები 97 ECTS კრედიტი.
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 13 ECTS კრედიტი;
- არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 ECTS კრედიტი.

პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.პროგრამა ითვალისწინებს დარგის მიღწევებს.
პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 21 პედაგოგი. მათ შორის - 12 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ - პროფესორი, 2 ასისტენტი. მოწვეული პროფესორი, 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 6 სპეციალისტი. პროგრამაში ჩართული 12 აკადემიური პირი აფილირებულია ბხსუ-სთან. პროგრამაში ასევე ჩართულია 1 პოსტდოქტორანტი და შესაბამისი კვალიფიკაციის 10 მოწვეული პერსონალი.
პროგრამაზე ჩარიცხულია 42 სტუდენტი, ამჟამად პროგრამას აქტიური სტატუსის მქონე 24 სტუდენტი ჰყავს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95% შეადგენს. პროგრამა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახლახანს გადავიდა ახალ შენობაში, რომლის ფართი და გეგმარება გაცილებით უკეთ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების რეალურ საჭიროებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების 2019 წლის 09 აგვისტოს №707 ბრძანების (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2019 წლის 26 აგვისტოს. ვიზიტის წინ, 24 აგვისტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დროს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 26 აგვისტოს 09.00 საათიდან დაიწყო და 17.00 საათამდე გაგრძელდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები, სახელოსნოები, სტუდიები, საგამოფენო სივრცეები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ პირველი, მესამე, და მეხუთე

სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე და მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტის შეფასების უწყისი ასახავდეს პროგრამის კურიკულუმში მითითებული კომპონენტების ჩამონათვალს და მათ ქულობრივ შეფასებას, რომელთა ჯამიც წარმოადგენს შემოქმედებითი ტურის საბოლოო შეფასებას.
2. რეკომენდებულია, მაქსიმალური ოპერატიულობით ამუშავდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, სადაც სასწავლო კურსების შეფასების უწყისებში ნათლად აისახება შეფასების დიფერენცირებული სისტემა.
3. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს სწავლის შეფასების შესაბამისი ფორმები (უწყისი, ჟურნალი ან სხვ.) და შემოწმდეს პედაგოგების მიერ მათი შევსების სისწორე.
4. რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცედურას: კომისიური შეფასების ფორმას და სტუდენტის შეფასებას ცალკეული კრიტერიუმის გათვალისწინებით.
5. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება.
6. რეკომენდებულია, პროგრამას ხელმძღვანელთან ერთად, ჰყავდეს თანახელმძღვანელი, პრაქტიკოსი მსახიობის სახით.
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამის რეალური ბიუჯეტი, რადგან, ის, პრაქტიკულად, საკმაოდ ძვირი პროგრამაა და უნივერსიტეტმა უნდა იცოდეს, რეალურად რა ჯდება ამ პროგრამის განხორციელება.
8. რეკომენდებულია ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გარე შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მიზანშეწონილია, პროგრამის სპეციფიკის და ძირითადი სასწავლო კურსების (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება) წინაპირობების გათვალისწინებით, სხვა სპეციალობიდან მობილობით გადმოსული სტუდენტი სწავლას იწყებდეს მაპროფილებელი სასწავლო კურსის ნულოვანი კრედიტით (პირველი სემესტრიდან).
2. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული სასწავლო კურსი „მუსიკის ისტორიის და თეორიის ზოგადი კურსი“ არის მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსი (სილაბუსის მიხედვით) არის ძალიან დატვირთული და ზედმეტად რთული პირველი სემესტრის სწავლებისათვის. მიზანშეწონილია, მისი გადატანა სხვა სემესტრში.
3. მიზანშეწონილია, ინგლისური ენის ორი სასწავლო კურსი, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით მესამე და მეოთხე სემესტრებში ისწავლება (ანუ არის ერთწლიანი წყვეტა ეროვნული გამოცდებიდან, სადაც ბარდება უცხო ენა), გადმონაცვლებულ იქნას პირველ სასწავლო წელს, რათა ადეკვატურად (და არა მივიწყებული უნარებით) მოხდეს სტუდენტებში უცხო ენის დონის იდენტიფიცირება შემდგომი სწავლის პროცესისთვის და შესაბამისი შედეგების მისაღწევად.

4. საზღვარგარეთის თეატრის ისტორიის მოდული მოიცავს ოთხ სასწავლო კურსს და, ძირითადად, ისწავლება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში. შესაბამისად, გაუგებარია ამ მოდულის მეოთხე სასწავლო კურსის (განმანათლებლობის ეპოქა - თანამედროვე თეატრი) სამი სემესტრის წყვეტით, მეშვიდე სემესტრში ჩასმა, რითაც ირღვევა საგნის ერთიანი ისტორიულ-ქრონოლოგიური ღერძის აღქმა. მიზანშეწონილია, ამ მოდულის თანმიმდევრობის დაცვა.
5. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობაზე „გახმოვანების ოსტატობის“ ახალი სასწავლო კურსის დამატება არანაკლებ მნიშვნელოვანია (შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანიც) დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო სპეციალობაზე. მიზანშეწონილია, ამ დეტალის გასწორება.
6. მიზანშეწონილია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული სასწავლო კურსის რეალური სწავლის შედეგები მათი მეტ-მაკლები მნიშვნელობის დადგენით (მაგ., შესაძლებელია სწავლის შედეგების რუკაში გამოიყენოთ სამი სახის ნიშანი: X - სრულად გადის სწავლის შედეგზე, V- ნაწილობრივ გადის სწავლის შედეგზე, I - მცირედად გადის სწავლის შედეგზე).
7. მიზანშეწონილია, პრაქტიკულ სასწავლო კურსებში გაიზარდოს თეორიული ლექციების საათობრივი დატვირთვა.
8. მიზანშეწონილია, მოხდეს ფაქტობრივი მასალის სისტემიზირება, რომელიც ასახავს კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა სახის შემოქმედებით თუ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
9. მიზანშეწონილია, შუალედური და ფინალური გამოცდები არ შემოიფარგლებოდეს სტუდენტთა მხოლოდ ზეპირი გამოკითხვებით.
10. მიზანშეწონილია, არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ, მთელი ქვეყნისა თუ საერთაშორისო მასშტაბით, შემოქმედებით პროექტებში ჩართულობისთვის სტუდენტთა გააქტიურება და მათი მოტივირებულობის უზრუნველყოფა.
11. მიზანშეწონილია, საზოგადოების ინფორმირებულობა, პროგრამის რეკლამა, პოპულარიზაცია. ეს ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას პროგრამაზე.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- სტუდენტების, პედაგოგების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვების საფუძველზე პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა“, „გახმოვანების ოსტატობა“, „ქართული კინოს ისტორია“, „აღმოსავლეთის თეატრის ისტორია“.
- სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში. სწავლების მეორე წლიდან სტუდენტთა პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობა, მათ შორის - რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა თეატრებში - პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. აღსანიშნავია, რომ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში. ბხსუ რეგიონში (დასავლეთ საქართველოს) ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც, აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს რეგიონების თეატრებისათვის მიზნობრივი ჯგუფების მომზადებას (ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ხულო).

- სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა 95% დასაქმებულია პროფესიის მიხედვით.
- აღსანიშნავია სასწავლო გეგმაში ისეთი სასწავლო კომპონენტის არსებობა, როგორიც არის „საწარმოო პრაქტიკა“. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების დროს ნათლად ვერ გამოიკვეთა პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, მომავალი მსახიობების ყოფნა თეატრის გარემოში და თეატრის ყველა სტრუქტურის მუშაობის გაცნობა (განათება, ხმა, გარდერობი, ბუტაფორიის საამქრო და სხვ.) მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.
- მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სილაბუსების სტრუქტურულ-შინაარსობრივი განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.
- პრაქტიკული სასწავლო კურსებისთვის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რიდერები და აუდიო-ვიზუალური სახელმძღვანელოები.
- საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, დამდეგი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ხოლო სტუდენტთათვის, გარდა სავალდებულო ინგლისური ენისა, არჩევითი კურსების სახით პროგრამას დაემატა იტალიური, გერმანული, ფრანგული და რუსული (B1; B2) ენები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საანგარიშო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამას მოაკლდა ორი კონცენტრაცია: „დრამატული თეატრის რეჟისურა“ და „თოჯინების თეატრის რეჟისურა“.
2. სასწავლო კურსი „დრამის თეორია“ (5კრედიტი) შეიცვალა „შესავალით დრამის თეორიაში“ (2 კრედიტი).
3. შეიცვალა სასწავლო კურსებზე კრედიტების განწილება.
4. პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა“, „გახმოვანების ოსტატობა“, „ქართული კინოს ისტორია“, „აღმოსავლეთის თეატრის ისტორია“.
5. გაიზარდა საწარმოო პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა ორი კრედიტიდან ხუთ კრედიტამდე.
6. შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა, იგი უფრო მოქნილი და გამჭვირვალე გახდა.
7. განახლდა პროგრამაზე და სასწავლო კურსებზე კოდების მინიჭების წესი.
8. სპეციალობის სასწავლო კურსებში შემუშავდა განახლებული რიდერები ქართულ ენაზე.
9. პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები, მათ შორის იტალიური, გერმანული, ფრანგული და რუსული (B1; B2).
10. დამდეგი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი გადადის საგანმანათლებლო პროცესების უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემაზე, რაც უფრო ეფექტურს გახდის და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის ძირითადი ვექტორია უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილის დაკავება რეგიონში. აქედან გამომდინარე, **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)“** მიზანია „ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება თეატრალური ხელოვნების სფეროში. ასევე თანამედროვე თეატრისა და კინოს პროფესიონალი პრაქტიკოსი მსახიობის აღზრდა, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული პროფესიული და ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე“ (ციტ.). პროგრამის თითოეული კომპონენტი ემსახურება პროფესიონალი მსახიობის აღზრდას, რაც სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან (ასევე, თანხვედრაშია ფაკულტეტის დებულებასთან და ფაკულტეტის სტატეგიული განვითარების გეგმასთან). პროგრამა ორიენტირებულია მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და მომავალ მსახიობს გამოუმუშავებს პროფესიული ჩვევებსა თუ მათი პრაქტიკული რეალიზების უნარს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებას, მოწოდებულია, სტუდენტს შეასწავლოს თეატრალური-სასცენო ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი განმასხვავებელი ნიშნები და თავისებურებები, მსახიობის შემოქმედების ძირითადი პრინციპები, სამსახიობო ოსტატობის ძირითადი ელემენტები, განუვითაროს შემოქმედებითი ფანტაზია, მხატვრული წარმოსახვა. პროგრამის მიზანი განისაზღვრა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის საფუძველზე, რომელთა შესწავლა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და უშუალო გასაუბრების გზით. ამასთან, გათვალისწინებული იქნა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილება. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. შედეგად, პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას. სტუდენტების ორიენტირებას ეროვნული

ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე.
პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბხსუ-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ბხსუ სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულება;
- ბხსუ სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბხსუ-ს ვებგვერდი www.batu.edu.ge .

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სამსახიობო ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, მსახიობის პროფესიის ზოგადი და დარგობრივი (დრამა, კინო, თოჯინური) კომპეტენციები, შემოქმედებითი კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი, მომავალი მსახიობისათვის აუცილებელი საბაზო ჰუმანიტარულ განათლება. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხორციელდება საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ანალიზის შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით. პროგრამის შეფასება ხდება პროგრამაში გაწერილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვები, რომლებიც ტარდება ელექტრონული ფორმით. ბხსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება შემდეგი მექანიზმებით: ● საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სწავლის შედეგების რუკის მიხედვით - შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა; ● ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებით, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდებისა და განხორციელების რელევანტურობა (2018-2019 სასწავლო წლიდან); ● გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზით, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე; ● სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლთა გამოკითხვებით (სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც სტუდენტთა აკადემიური შეფასებების ანალიზი, ასევე სტუდენტთა გამოკითხვები). პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, კომპონენტები, მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის ძირითადი და სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსებით, რომელიც ხელს უწყობს მათ დასაქმებას შრომის ბაზარზე. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის განხორციელების პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი საგნები, სპეციალიზებული მოდულის საგნები და არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსები. პროგრამის კომპონენტების გავლის თანმიმდევრობა დაცულია. სასწავლო

კურსებს შორის ლოგიკური კავშირი ვლინდება სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობით. დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის კურსდმთავრებულთა ძირითადი უპირატესობაა მსახიობის ოსტატობისთვის დამახასიათებელი დარგობრივი ცოდნა და პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარები, მაღალი მოტივაცია მუშაობისთვის, მზაობა თვითგანვითარებისთვის. დამსაქმებელთათვის ასევე მნიშვნელოვანია ისეთი უნარები, როგორიცაა ეთიკური ქცევა და კომუნიკაციის, ასევე, გუნდში მუშაობის უნარები, სხარტი აზროვნება და ინტუიცია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობა. ამასთანავე, პროგრამის ძირითად ვადაში სწავლის დასრულების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა შეფასებები, კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის რეგიონულ თეატრებში სპეციალობით დასაქმების მაჩვენებლები წარმოადგენს პროგრამის შედეგების შეფასების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ბხსუ-ს მიერ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში. ბხსუ რეგიონში (დასავლეთ საქართველოს) ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს რეგიონების თეატრებისათვის მიზნობრივი ჯგუფების მომზადებას (ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ხულო). სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი ჩართულნი არიან სტუდენტთა პრაქტიკულ დაოსტატებაში და მუდმივად უწევენ სტუდენტებს კონსლუტაციებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტში, ასავე საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე. უნივერსიტეტი ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა 95% დასაქმებულია პროფესიის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი), სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ○ ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; ○ კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების შედეგების მაჩვენებელი; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტების, პედაგოგების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვების საფუძველზე პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა“, „გახმოვანების ოსტატობა“, „ქართული კინოს ისტორია“, „აღმოსავლეთის თეატრის ისტორია“.
- სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში. სწავლების მეორე წლიდან სტუდენტთა პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობა, მათ შორის - რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა თეატრებში - პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. აღსანიშნავია, რომ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში. ბხსუ რეგიონში (დასავლეთ საქართველოს) ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც, არნიშნული პროგრამით უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს რეგიონების თეატრებისათვის მიზნობრივი ჯგუფების მომზადებას (ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ხულო).
- უნივერსიტეტი ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა 95% დასაქმებულია პროფესიის მიხედვით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	√			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, სტუდენტების ჩარიცხვა ხდება შემოქმედებითი ტურისა და ეროვნული გამოცდების შედეგად, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბხსუ-ს ნორმატიული აქტებით არის განსაზღვრული. შემოქმედებითი ტური, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვას. ამასთანავე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა - აბიტურიენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ საინფორმაციო ბუკლეტების სახით (ვებ-გვერდზეა). ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა შემოქმედებითი ტურის შეფასების უწყისი, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა. უწყისი ასახავდა აბიტურიენტთა ჯგუფის კომისიურ შეფასებას. თითოეული აბიტურიენტის შეფასება წარმოადგენდა ერთიან ქულას (მაქსიმალური 100-დან) და არ მოიცავდა შეფასების იმ კომპონენტებს, რომელიც პროგრამის კურიკულუმით არის გათვალისწინებული, რაც შემოქმედებითი ტურის სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების აუცილებელი პირობაა. ასევე, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მობილობით გადმოსული სტუდენტები სწავლას აგრძელებდნენ არა პირველი, არამედ მომდევნო სემესტრიდან/კურსიდან, რაც შეუსაბამობაშია მაპროფილებელი სასწავლო კურსების (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება) წინაპირობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა, კურიკულუმი, წინაპირობა; ○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ ბხსუ-ს ვებ გვერდი: www.batu.edu.ge ; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტის შეფასების უწყისი ასახავდეს პროგრამის კურიკულუმში მითითებული კომპონენტების ჩამონათვალს და მათ ქულობრივ შეფასებას, რომელთა ჯამიც წარმოადგენს შემოქმედებითი ტურის საბოლოო შეფასებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, პროგრამის სპეციფიკის და ძირითადი სასწავლო კურსების (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება) წინაპირობების გათვალისწინებით, სხვა სპეციალობიდან მობილობით გადმოსული სტუდენტი სწავლას იწყებდეს მაპროფილებელი სასწავლო კურსის ნულოვანი კრედიტით (პირველი სემესტრიდან).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტებისა და ბხსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ასახულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები). მათი გამოკითხვების ანალიზის შედეგად პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილება

(სასწავლო კურსების დამატება/გამსხვილება, გადანზაცვლება და ა.შ.). ინფორმაცია პროგრამის შესახებ არის საჯარო, პროგრამის კატალოგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
პროგრამის შინაარსი და მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. შინაარსი და სტრუქრურა შესაბამისობაშია სახელოვნებო მიმართულების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს კურიკულუმში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას (სწავლის შედეგების რუკა).
ზოგადად, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა არის ლოგიკური, მათ შორის, ძირითადი, მაპროფილებელი სასწავლო კურსების წინაპირობები არის ადეკვატური.
პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 ECTS შემდეგი გადანაწილებით: სპეციალობის საერთო კურსები - 110 ECTS კრედიტი (მათ შორის საწარმოო პრაქტიკა 5 ECTS კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი 10 ECTS კრედიტი), დრამისა და კინოს/დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო - ძირითადი კურსები 97 ECTS კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 13 ECTS კრედიტი; არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 ECTS კრედიტი.
პროგრამის ერთიანი სტრუქტურის გათვალისწინებით, რამდენიმე სასწავლო კურსთან მიმართებით შეიძლება გამოითქვას რჩევები, რომელთაც არ ექნება სავალდებულო ხასიათი. ასევე, გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი „საწარმოო პრაქტიკის“ სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, კურიკულუმის რუკა, სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია);
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული სასწავლო კურსი **„მუსიკის ისტორიის და თეორიის ზოგადი კურსი“** არის მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსი (სილაბუსის მიხედვით) არის ძალიან დატვირთული და ზედმეტად რთული პირველი სემესტრის სწავლებისათვის. მიზანშეწონილია, მისი გადატანა სხვა სემესტრში.
- მიზანშეწონილია, **ინგლისური ენის** ორი სასწავლო კურსი, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით მესამე და მეოთხე სემესტრებში ისწავლება (ანუ არის ერთწლიანი წყვეტა ეროვნული გამოცდებიდან, სადაც ბარდება უცხო ენა), გადმონაცვლებულ იქნას პირველ სასწავლო წელს, რათა ადეკვატურად (და არა მივიწყებული უნარებით) მოხდეს სტუდენტებში უცხო ენის დონის იდენტიფიცირება შემდგომი სწავლის პროცესისთვის და შესაბამისი შედეგების მისაღწევად.

- **საზღვარგარეთის თეატრის ისტორიის** მოდული მოიცავს ოთხ სასწავლო კურსს და, ძირითადად, ისწავლება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში. შესაბამისად, გაუგებარია ამ მოდულის მეოთხე სასწავლო კურსის (განმანათლებლობის ეპოქა - თანამედროვე თეატრი) სამი სემესტრის წყვეტით, მეშვიდე სემესტრში ჩასმა, რითაც ირღვევა საგნის ერთიანი ისტორიულ-ქრონოლოგიური ღერძის აღქმა. მიზანშეწონილია, ამ მოდულის თანმიმდევრობის დაცვა.
- პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობაზე **„გახმოვანების ოსტატობის“** ახალი სასწავლო კურსის დამატება არანაკლებ მნიშვნელოვანია (შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანიც) დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო სპეციალობაზე. მიზანშეწონილია, ამ დეტალის გასწორება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აღსანიშნავია სასწავლო გეგმაში ისეთი სასწავლო კომპონენტის არსებობა, როგორიც არის **„საწარმოო პრაქტიკა“.** მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების დროს ნათლად ვერ გამოიკვეთა პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, მომავალი მსახიობების ყოფნა თეატრის გარემოში და თეატრის ყველა სტრუქტურის მუშაობის გაცნობა (განათება, ხმა, გარდერობი, ბუტაფორიის საამქრო და სხვ.) მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება როგორც კურიკულუმის სწავლის შედეგების რუკაში, ანალოგიურად, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ძირითადად, სასწავლო კურსების შინაარსი შესაბამისობაშია

ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან. თუმცა, შეიძლება გამოითქვას მცირედი შენიშვნა რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. გაუგებარია, როდესაც რამდენიმე პრაქტიკული სასწავლო კურსი (ვოკალი, სასცენო მოძრეობა-ეტიკეტი-ფარიკაობა, პანტომიმა, სხვადასხვა სახეობის ცეკვა და სხვ.) მხოლოდ ორ კომპეტენციაზე გადის (ცოდნა და გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება), მაშინ, როდესაც თითოეული სასწავლო კურსი უყალიბებს სტუდენტს (ნაკლები დოზით, მაგრამ მაინც), კომუნიკაციის უნარსაც, დასკვნის უნარსაც, სწავლის უნარსაც და, რაც მთავარია, სწავლის ობიექტის ღირებულებით მნიშვნელობას (მაგ. ქართული ცეკვა, როგორც კულტურული მემკვიდრეობა). ასევე გაუგებარია, მაგალითად, საზღვარგარეთის თეატრის ისტორიის მოდულის სხვადასხვა ისტორიული პერიოდის სასწავლო კურსები, რატომ გადის სხვადასხვა შედეგზე: პირველი სასწავლო კურსი (ანტიკური თეატრი) მხოლოდ ორ კომპეტენციაზე, მეორე სასწავლო კურსი (რენესანსი და კლასიციზმი) - სამ კომპეტენციაზე, მესამე სასწავლო კურსი (აღმოსავლური თეატრი) - ხუთ კომპეტენციაზე და მხოლოდ მეოთხე სასწავლო კურსი (განმანათლებლობის ეპოქა და თანამედროვე თეატრი) ექვსივე კომპეტენციაზე. ამავდროულად, ამ კონკრეტული მოდულის სასწავლო კურსები იდენტური ფორმატის კურსებია. ამ თვალსაზრისით, სწავლის შედეგების რუკა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

პროგრამაში გვხვდება 2, 3, 4, 5, 9 და 10 კრედიტიანი სასწავლო კურსები. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, რომელიც შესაბამის სილაბუსში არის დეტალურად გაწერილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის მიხედვით, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. არსებობს გონივრული თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, სადაც გათვალისწინებულია კურსის პრაქტიკული თუ თეორიული სპეციფიკა (უნივერსიტეტის ზოგადი ნორმატივების მიხედვით). ძირითადად, საკონტაქტო საათების რაოდენობა (პრაქტიკული მეცადინეობა, ლექცია-სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საყურადღებოა, რომ პრაქტიკული დანიშნულების სასწავლო კურსებში ძალიან მწირეა თეორიული ლექციის წილი (სემესტრში 1 ან 2 საათი) .

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. გარკვეული სასწავლო კურსები ძირითად ლიტერატურასთან ერთად, ითვალისწინებს სასწავლო მასალას, რაც გაწერილია შესაბამის სილაბუსებში. ეტიკეტის, გრიმის, ფარიკაობის, ცეკვის, სასცენო მოძრაობისა და რიტმიკის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულია სასწავლო მასალა - რიდერები ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების სახით.

სილაბუსებში შეინიშნება მცირედი ტექნიკური ხარვეზები, რაც ადვილად გამოსწორებადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, კურიკულუმის რუკა (სასწავლო პროცესის სტრუქტურა);
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები;
- საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული სასწავლო კურსის რეალური სწავლის შედეგები მათი მეტ-მაკლები მნიშვნელობის დადგენით (მაგ., შესაძლებელია სწავლის შედეგების რუკაში გამოიყენოთ სამი სახის ნიშანი: X - სრულად გადის სწავლის შედეგზე, V- ნაწილობრივ გადის სწავლის შედეგზე, I - მცირედად გადის სწავლის შედეგზე). • მიზანშეწონილია, პრაქტიკულ სასწავლო კურსებში გაიზარდოს თეორიული ლექციების საათობრივი დატვირთვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სილაბუსების სტრუქტურულ-შინაარსობრივი განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სამსახიობო ხელოვნებისათვის დამახიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში ჩართვას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, როგორც დომინანტა, ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტთა საშემსრულებლო პრაქტიკული უნარების გაძლიერება და განმტკიცება ხორციელდება როგორც საკურსო თეატრალური დადგმების (ეტიუდი, ნაწყვეტი, ერთმოქმედებიანი პიესა), ასევე საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის (სპექტაკლის) საშუალებით. ამასთან, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით (პროფესიულ თეატრებში) უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე (ეთმობა 5 კრედიტი). საწარმოო პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას

- რეჟისორის, სამსახიობო დასის სამუშაო პროცესზე დაკვირვებით. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.
ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი პრაქტიკის დღიურები და პრაქტიკის შეფასების უწყისები.
უნივერსიტეტს აქვს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები. დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებისა და გაუმჯობესების პროცესში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა უნივერსიტეტის მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური ხელშეწყობა სტუდენტების სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს მათი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განხორციელებული პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სტუდენტური კონფერენციები, შემოქმედებითი პროექტები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, მოხდეს ფაქტობრივი მასალის სისტემიზირება, რომელიც ასახავს კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა სახის შემოქმედებით თუ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები ითვლისწინებს დარგის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსს, პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- სტუდიურ-ლაბორატორიული მეთოდი
- პრქტკული მეთოდი
- ინტერაქტიული მეთოდი
- ახსნა-განმარტების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- სიტუაციური ანალიზის მეთოდი და ა.შ.

სამსახიობო მიმართულებით სწავლების და სწავლის მეთოდურ მიდგომებიდან, შემოქმედებითი - საშემსრულებლო ამოცანების გადაწყვეტის გზების ძიების მხრივ - გამოიყენება ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას და, სადაც, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს შემოქმედებითი ამოცანების პრაქტიკული ინტერპრეტაციის პროცესი.

სამსახიობო ხელოვნების ფუნდამენტური საფუძველია - როლური და სიტუაციური თამაშები, ასევე , პრეზენტაცია, რომელიც წარმოდგენილია სემესტრული საგამოცდო ჩვენებების სახით და მოიცავს სამსახიობო ხელოვნების კომპლექსური მეთოდებით სწავლების დაგეგმვის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს. ამ მეთოდებით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულუმის სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტის შეფასების მყარი და ლოგიკურად გააზრებული სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ საკანონმდებლო ბაზასთამ. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. მაგ., პრაქტიკული საგნების შემთხვევაში გამოიყენება ერთიანი მიდგომა: საბოლოო შეფასება შედგება ორი ნაწილისაგან - შუალედური შეფასება (5X12=60 ქულა) და ფინალური გამოცდა - 40 ქულა და ა.შ. სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში მიეწოდება ინფორმაცია სწავლის შეფასების სისტემის შესახებ (ქულობრივი გადანაწილება, მინიმალური ზღვრები და ა.შ.). ნორმატიული დოკუმენტაცია სტუდენტის შეფასების შესახებ სრულ შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტებთან. თუმცა, ვიზიტის დროს მოთხოვნილი სწავლის შეფასების დახურული უწყისებით, რომელშიც იქნებოდა ასახული შეფასების კრიტერიუმები და მათი ქულობრივი გადანაწილება, არ დადასტურდა სწავლის შედეგების მოქნილი მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება. ხშირ შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება არა თანმიმდევრულად დაგროვებადი ქულებით, არამედ ერთჯერადად გამოცდაზე დაწერილი

ნიშნით (ქულით). ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ფაქტი, როდესაც პედაგოგი მთელ ჯგუფს აფასებს ერთნაირი ქულით, რაც სრულიად დაუშვებელია.
სავარაუდოდ, აღნიშნული პრობლემები მოგვარებადია სასწავლო პროცესის ელექტრონული ბაზის მეშვეობით, რომელიც უნივერსიტეტში უნდა ამოქმედდეს ახალი სასწავლო წლიან.
სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს გასაჩივრების პროცედურა და სტუდენტები სარგებლობენ ამ შესაძლებლობით (იშვიათად), თუმცა უარის შემთხვევაში ისინი არ ღებულობენ არგუმენტირებულ პასუხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები (შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები);
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (ბხსუ-ს შეფასების სისტემები; შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა);
- შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მაქსიმალური ოპერატიულობით ამუშავდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, სადაც სასწავლო კურსების შეფასების უწყისებში ნათლად აისახება შეფასების დიფერენცირებული სისტემა.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს სწავლის შეფასების შესაბამისი ფორმები (უწყისი, ჟურნალი ან სხვ.) და შემოწმდეს პედაგოგების მიერ მათი შევსების სისწორე.
- რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცედურას: კომისიური შეფასების ფორმას და სტუდენტის შეფასებას ცალკეული კრიტერიუმის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, შუალედური და ფინალური გამოცდები არ შემოიფარგლებოდეს სტუდენტთა მხოლოდ ზეპირი გამოკითხვებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
სწავლის შეფასების შესახებ სრულყოფილი ნორმატიული ბაზის მომზადება (მარეგულირებელი წესი, კურიკულუმი, სილაბუსები)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა აკადემიურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს დეკანატი, დეპარტამენტები, პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტები ინფორმირებული არიან აკადემიური კალენდარის შესახებ. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან უშუალო კომუნიკაციის გზით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც უწევს სტუდენტებს ტრენინგ-კონსულტაციებს პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. სამსახური ეხმარება პრეზენტაციებისა და საკონკურსო პროექტების შემუშავებაში, უზრუნველყოფს დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ,

აკავშირებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტი ზრუნავს იმაზე, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ საქალაქო თუ სხვა ღონისძიებების, კონკურსების პირობების თაობაზე. დეკანატი, კარიერული მხარდაჭერის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას ასევე სტაჟირების პროგრამების თაობაზე.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, შემოქმედებით აქტივობებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, მაგრამ ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით, გაცვლითი პროგრამებით. სასწავლო უნივერსიტეტში დაბალია პროგრამის შესაბამის სფეროში ინტერნაციონალიზაციის დონე.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათების ჩატარება და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინტერნეტ საიტიდან და სოციალური ქსელიდან.

ბხსუ-ში ინფორმაციის გავრცელების მთავარი წყაროა ვებგვერდი http://www.batu.edu.ge .

მეტი კონკრეტიკით, სტუდენტებთან ინტერვიურებისას, გამოიკვეთა, რომ მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისინი, იღებენ საკონსულტაციო მომსახურებას და დახმარებას, აკადემიური და ადმისტრაციული პერსონალისაგან სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების განხორციელების გზებსა და მეთოდებთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალი, სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტებს სილაბუსს აცნობს ბეჭდური სახით. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია, ასევე, პედაგოგებთან საკონსულტაციო საათების ცხრილის არსებობის შესახებ, თუმცა, არ სარგებლობენ აღნიშნული განრიგით, პედაგოგებთან მუდმივი კონტაქტის, ნებისმიერ დროს მათი ხელმისაწვდომობისა და დახმარებისათვის მზაობის გამო. სტუდენტებმა, გამოთქვეს კმაყოფილება, აკადემიური პერსონალის მხრიდან, აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტები, პედაგოგებისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშულებით, იღებენ ინფორმაციას დასაქმების თაობაზეც, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობებზე. დაფიქსირდა სტუდენტის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტში. სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე მაქსიმალური ზრუნვა. გამოიკვეთა სტუდენტთა მონაწილეობა ძირითადად ადგილობივ საფესტივალო ღონისძიებებში.

სტუდენტები, პედაგოგებისაგან იღებენ ინფორმაციას შეფასების გასაჩივრების პროცედურის არსებობის შესახებ. ინტერვიურებისას, სტუდენტმა დაადასტურა გასაჩივრების პროცედურით პირადად სარგებლობის შემთხვევა.

სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობებში კურიკულუმის მიღმა. ძირითადად, ეს არის საქველმოქმედო კონცერტები, სხვადასხვა პერფორმანსები და ფესტივალები. ისინი, ძირითადად, კმაყოფილები არიან სასწავლო პროგრამით და არა აქვთ რაიმეს დანაკლისის შეგრძნება. ერთერთმა სტუდენტმა აღნიშნა, კითხვარების შევსების საშუალებით, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მისი პირადი მოსაზრების ან შენიშვნის გათვალისწინების შემთხვევები.

პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარის დასახელება გაუჭირდათ კურსდამთავრებულებსაც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დასაქმებულია თეატრში, პროფესიული მიმართულებით. ისინი კმაყოფილები არიან პროგრამაზე სწავლისას შეძენილი უნარ-ჩვევებით, სტუდენტობისას თეატრში განვლილი პრაქტიკით, ტელევიზიასთან კომუნიკაციის შესაძლებლობით, მოკლემეტრაჟიან ფილმებში მონაწილეობით, საზაფხულო პროექტებში ჩართულობით. ამ გამოცდილებამ ხელი შეუწყო მათ, დასაქმების შემდეგ, წარმატებით

მიეღოთ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. ერთ-ერთი კურსდამთავრებული თვლის, რომ მეტყველების საგნის შესწავლისთვის გამოყოფილი არ იყო საკმარისი დრო. კურსდამთავრებულებმა ერთხმად აღნიშნეს პედაგოგებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და მათი მხრიდან საკუთარი თავის გახსნაში ხელშეწყობა. ისინი კმაყოფილები არიან განვლილი საგანმანათლებლო პროგრამით. ამასთან, სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმით, რომ პრაქტიკული სასწავლო კურსებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რიდერები და აუდიო-ვიზუალური სახელმძღვანელოები. ამავდროულად, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, მათი ჩართულობის გააქტიურებისა არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ, მთელი ქვეყნისა თუ საერთაშორისო მასშტაბით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ ბხსუ- შინაგანაწესი; ○ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, კარიერული სამსახური, ბიბლიოთეკა) ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ○ ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ბხსუ ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ, მთელი ქვეყნისა თუ საერთაშორისო მასშტაბით, შემოქმედებით პროექტებში ჩართულობისთვის სტუდენტთა გააქტიურება და მათი მოტივირებულობის უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკული სასწავლო კურსებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რიდერები და აუდიო-ვიზუალური სახელმძღვანელოები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები -------
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 12 აფილირებული პროფესორი: მათ შორის - 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი. ასევე, 1 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი. ასევე, პროგრამაში ჩართულია 1 პოსტდოქტორანტი და 10 მოწვეული პერსონალი. პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია საიმისოდ, რომ უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, რაც დასტურდება დარგის მიმართულებით პროფესიული კვალიფიკაციით, შემოქმედებითი საქმიანობით, გავლილი

ტრენინგ კურსებით, განხორციელებული შემოქმედებითი-საშემსრულებლო საქმიანობით, თეორიული დისციპლინების შემთხვევაში მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული ნაშრომებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებიდან და პერსონალის CV-იდან. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. ბხსუ-ში დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა რეგულირდება ბხსუ-ს შინაგანაწესით. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება. პროგრამას ხელმძღვანელობს შთამბეჭდავი კარიერის მქონე (თეატრის გამნათებლიდან - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელამდე) პროფესიონალი, თუმცა, რეკომენდბულია, პროგრამას თანახელმძღვანელის სტატუსით ჰყავდეს პრაქტიკოსი მსახიობიც. პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით შემუშავდა მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამა, სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის პერსონალი აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას პროექტებში, ზრუნავს სტუდენტთა რეკომენდირებაზე პოტენციურ დამსაქმებლებთან. პერიოდულად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პერსონალთან ერთად, აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან პროგრამის გაცნობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის მიზნით. პერსონალს მუდმივი კონტაქტი აქვს კურსდამთავრებულებთან, ინფორმირებული არიან მათი კარიერული წინსვლის შესახებ, თავადაც ახდენენ კურსდამთავრებულთა ინფორმირებას ვაკანსიების შესახებ, ეხმარებიან მათ დასაქმებაში.

პროგრამის სტუდენტები, ასევე, უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. გასაუბრებისას სტუდენტების მხრიდან აღინიშნა მეგობრული გარემო და თბილი ურთიერთობა პროგრამის პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსი;
- ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი;
- ბხსუ-ს მოწვეული პერსონალის მიღების წესი;

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბხსუ - სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები);
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების CV, პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ბხსუ-ს ვებგვერდი: www.batu.edu.ge .

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამას ხელმძღვანელთან ერთად, ჰყავდეს თანახელმძღვანელი, პრაქტიკოსი მსახიობის სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი და შექმნილია ლექციაზე დასწრებისა და შეფასების სპეციალური ფორმა.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვას აფასებს ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო. თავის მხრივ, ინდივიდუალური დატვირთვა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას, შემოქმედებით/სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მონაწილეობას სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის პროექტებში, ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში.
სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვ. მეცადინეობების ხარისხი). ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი (მოიაზრება ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობა) და პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი (მოიცავს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობის და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს). თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი.
ბხსუ-ში მონიტორინგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პროგრამების პერსონალის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარების განვითარების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფის და პროგრამის ადამიანური რესურსის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვისათვის.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი იწვევს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩასა ტარებლად. ამ გზით ხდება თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების, გამოცდილების გაზიარება.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება სამეცნიერო კვლევებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პუბლიკაციებში, კვლევით პროექტებში, კონფერენციებში მათი მონაწილეობით.
უნივერსიტეტის მიერ ფასდება პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა, მათი ჩართულობა სასწავლო კურსების პროგრამების მოდიფიცირებაში, რიდერების მომზადებაში,სასწავლო მასალების განახლებაში. მნიშვნელოვანი კომპონენტია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობა. აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილია საერთაშორისო შემოქმედებით პროექტებში, გამოფენებში, კონკურსებში მონაწილეობა.
უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას: ვორქშოფებს, ტრენინგებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებს. ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლა/სწავლების მეთოდებში ტრენინგების გეგმა და ახორციელებს მას მიმდინარე

პერიოდში. ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპლექსური ტრენინგები სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიასა და უცხო ენის სწავლის მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, დამდეგი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ბხსუ-ს გარდა, ზრუნავს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - პროგრამებით: ,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა"; ,,სტაჟირება საზღვარგარეთ"; ,,კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა"; ,,კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა"; ,,კულტურის ორგანიზიაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა". ,,კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწობა" (,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" პროექტის ფარგლებშიც არაერთი ღონისძიება დაფინანსდა, როგორც ზოგადად უნივერსიტეტში, ასევე უშუალოდ სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე. სამომვალოდ დაგეგმილია სხვა საკონკურსო პროექტებშიც მონაწილობაც). ამასთან, პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურების სურვილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი;
- ბხსუ-ს სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის CV ;
- ბხსუ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები;
- ბხსუ-ს ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, დამდეგი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. ხოლო სტუდენტთათვის, გარდა სავალდებულო ინგლისური ენისა, არჩევითი კურსების სახით პროგრამას დაემატა იტალიური, გერმანული, ფრანგული და რუსული (B1; B2) ენები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე არსებულ ახალ შენობაში (ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. N 19/32). ამჟამად აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობა სასწავლო პროცესისთვის სრულ მზადყოფნაშია. დასრულებულია სარემონტო სამუშაოები (აუდიტორიები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცეები, სცენა, და სხვ.) და მიმდინარეობს შენობის ტექნიკური აღჭურვა; უნივესიტეტს შეძენილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. ბიბლიოთეკაში და ვრცელ სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან, აღჭურვილია ელექტრონული რიდერებით და წიგნების ონლაინ ვერსიებით. შეინიშნება უცხოენოვანი პერიოდული გამოცემების ნაკლებობა, თუმცა, პრაქტიკული სასწავლო კურსებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რიდერები და აუდიო-ვიზუალური სახელმძღვანელოები. შენობა აღჭურვილია სარეპეტიციო სივრცეებითა და სასწავლო თეატრით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. შენობაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სცენა, საგრიმიორო ოთახები ვაჟებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე, მსახიობის ოსტატობისათვის აუცილებელი რეკვიზიტებით აღჭურვილი რამდენიმე აუდიტორია - ეტიუდების დასადგმელად, ქორეოგრაფიული რეპეტიციებისთვის გამკუთვნილი ვრცელი სარკეებიანი დარბაზი. მიმდინარეობს სცენის განათების მონტაჟი. ახალი შენობის ინფრასტრუქტურა მთლიანად შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- www.batu.edu.ge Open -ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკული სასწავლო კურსებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რიდერები და აუდიო-ვიზუალური სახელმძღვანელოები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)“ ფინანსდება უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებით და საკუთარი შემოსავლებით. ზოგადად უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მიხედვით. 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 დეკემბრის №05-01/01 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კონკრეტულად, აღნიშნული პროგრამის რეალური ბიუჯეტი, რადგან, პრაქტიკულად, ის საკმაოდ ძვირი პროგრამაა და უნივერსიტეტმა უნდა იცოდეს, რეალურად რა ჯდება ამ პროგრამის განხორციელება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები.პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე ასპექტს, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, დაინტერესებული მხარეების

გამოკითხვას. უნივერსიტეტში შემუშავებულია და გამოიყენება რამდენიმე სახის კითხვარი კმაყოფილების კვლევების ჩასატარებლად. ესენია: 1. სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი; 2. სტუდენტის კმაყოფილების კვლევა; 3. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი; 4. დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი; 5. პოტენციურ დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი; 6. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი. კმაყოფილების კვლევის შეფასების სისტემა მოიცავს სასწავლო პროცესს სრულად და ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს SWOT-ანალიზის გაკეთებას, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროგრამულ დონეზე.ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებს ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესების, პროგრამების განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის ასპექტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 და 2019 წლის სამოქმედო გეგმები. ○ ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“; ○ შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ○ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ,,კმაყოფილების კვლევის შეფასება“.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. ამავე მიზნით გამოყენებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, თუმცა, პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდებული იქნებოდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა გარე შეფასების მექანიზმი სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი დარგების სპეციალისტების ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გარე შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სასწავლო მასალების და საგამოცდო მასალების, ასევე გამოცდების მონიტორინგი და გამოცდის შედეგების ანალიზი). ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას,სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ. ამგვარი მონიტორინგის და პროგრამის განვითარების სისტემის მოქმედების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება (იხ. ქვემოთ). 2018 წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. ამასთან, მიზანშეწონილია საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა პროგრამის შესახებ, პროგრამის რეკლამა, პოპულარიზაცია. ეს ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
- წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი;
- სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობა, პროგრამის რეკლამა, პოპულარიზაცია. ეს ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას პროგრამაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მონიტორინგისა და პროგრამის განვითარების სისტემის მოქმედების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება:

1. საგანმანათლებლო პროგრამას მოაკლდა ორი კონცენტრაცია: „დრამატული თეატრის რეჟისურა“ და „თოჯინების თეატრის რეჟისურა“.
2. სასწავლო კურსი „დრამის თეორია“ (5კრედიტი) შეიცვალა „შესავალით დრამის თეორიაში“ (2 კრედიტი).
3. შეიცვალა სასწავლო კურსებზე კრედიტების განწილება.
4. პროგრამას დაემატა შემდეგი კურსები: „მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა“, „გახმოვანების ოსტატობა“, „ქართული კინოს ისტორია“, „აღმოსავლეთის თეატრის ისტორია“.
5. გაიზარდა საწარმოო პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა ორი კრედიტიდან ხუთ კრედიტამდე.
6. შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა, იგი უფრო მოქნილი და გამჭვირვალე გახდა.
7. განახლდა პროგრამაზე და სასწავლო კურსებზე კოდების მინიჭების წესი.
8. სპეციალობის სასწავლო კურსებში შემუშავდა განახლებული რიდერები ქართულ ენაზე.
9. პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები, მათ შორის იტალიური, გერმანული, ფრანგული და რუსული (B1; B2).
10. დამდეგი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი გადადის საგანმანათლებლო პროცესების უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემაზე, რაც უფრო ეფექტურს

გახდის და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ დაირთავს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
„სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
6. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ვეფხვაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა სამსონაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქეთევან ოჩხიკიძე